



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

აკადემიურ საბჭოს სხდომაზე
რექტორი ანზორ შარაშენიძე

გამოცდების ჩატარების წესი

თბილისი 2019წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში, შემდგომში (სასწავლო უნივერსიტეტი) გამოცდების ჩატარების წესი (შემდგომში – „წესი“), ადგენს სასწავლო უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და მასში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება დამკვირვებელი - პირი, რომელიც ახორციელებს გამოცდის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. სტუდენტი - პირი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სწავლის უფლება მოიპოვა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე; გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი სტუდენტი - პირი რომელიც სწავლობს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს და შესრულებული აქვს სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა და ფორმატი

1. სასწავლო უნივერსიტეტში, სწავლების ორივე საფეხურზე, გამოცდების ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ფაკულტეტი დეკანის და მენეჯერის ჩართულობით;
2. გამოცდის ორგანიზებას, უზრუნველყოფს შესაბამისი ლექტორი უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანისა და მენეჯერის რეკომენდაციის გათვალისწინებით;
3. სწავლების ორივე საფეხურზე, შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ტარდება ლექტორის მიერ წერილობითი ფორმით და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე საგამოცდო გრაფიკის მიხედვით, რასაც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ფაკულტეტი დეკანის და მენეჯერის ჩართულობით;
4. საგამოცდო გრაფიკი მინიმუმ ერთი კვირით ადრე საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 4. საგამოცდო პროცესის დამკვირვებლის ვალდებულებები

4.1 საგამოცდო პროცესის ჩატარების დროს აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- ა) გამოცდის დაწყებამდე სტუდენტს გააცნოს წესები, რომლებიც უნდა დაიცვას გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;
- ბ) თვალყური ადევნოს საგამოცდო დროის პერიოდში გამოცდის მიმდინარეობას და წინამდებარე წესით განსაზღვრული დარღვევის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;
- გ) საგამოცდო დროის ამონურვამდე 10 წუთით ადრე გააფრთხილოს სტუდენტები საგამოცდო დროის ამონურვის შესახებ;
- დ) გამოცდისთვის განსაზღვრული დროის ამონურვის შემდეგ სტუდენტთა ნამუშევრები გადასცეს უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანს;
- ე) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა.

მუხლი 5. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

5.1 სტუდენტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს გამოცდაზე საგამოცდო დროის დაწყებამდე 15 წუთით ადრე;
- ბ) გამოცდის მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკის კოდექსითა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;
- გ) საჭიროების შემთხვევაში ხელის აწევით მიმართოს პედაგოგს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სტუდენტებს;
- დ) დაემორჩილოს საგამოცდო პროცესის დროს პედაგოგის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი გამოცდიდან მოხსნის შესახებ;
- ე) საგამოცდო დროის ამონურვისთანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი;
- ვ) არ გაიტანოს საგამოცდო ოთახიდან შავი სამუშაო ფურცელი.

5.2 სტუდენტის უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს გამოცდისთვის სათანადო პირობები (სამუშო სივრცე, განათება);
- ბ) შეიტანოს ან მოითხოვოს საგამოცდო მასალით/ტესტით დადგენილი დამხმარე მასალა (კალკულატორი, კოდექსი, ტაბულა, რუკა და ა.შ.);
- გ) აუდიტორიაში შეიტანოს სასმელი წყალი;
- დ) გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გაასაჩივროს მიღებული შეფასება შესაბამის დეკანატში.

მუხლი 6. გამოცდების ჩატარების პროცედურები

- ა) საგამოცდო გრაფიკით გათვალისწინებულ აუდიტორიაში განთავსების შემდეგ სტუდენტებს პედაგოგის მიერ ურიგდებათ საგამოცდო საკითხები/ტესტები;
- ბ) პედაგოგი სტუდენტებს აცნობს გამოცდაზე ქცევის წესებს;
- გ) საგამოცდო დრო განისაზღვრება სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად;
- დ) საგამოცდო დროის დაწყებიდან დაგვიანებული სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება 15 წუთის განმავლობაში. ეს დრო არ დაემატება სტუდენტის საგამოცდო დროს.

მუხლი 7. გამოცდაზე ქცევის წესები

7.1 გამოცდაზე დაუშვებელია:

- ა) საუბარი, ხმაური, უესტიკულაციის გამოყენება;
- ბ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;
- გ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში;
- დ) სხვა სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;
- ე) სხვა პირის დახმარება, სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;
- ვ) საგამოცდო დროის ამონურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;
- ზ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით;
- თ) გამოცდაზე კალკულატორის ან ნაბეჭდი მასალის გამოყენება გარდა საგამოცდო საკითხით გათვალისწინებულისა. აღნიშნული განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კურსის განმხორციელებელი პირის გადაწყვეტილებით;
- ი) დაუშვებელია მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;

კ) დაუშვებელია შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა;

ლ) საგამოცდლო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდლო ოთახის დატოვება დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.

7.2 გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს და მოთავსდეს მისთვის გამოყოფილ ადგილას;

7.3 საგამოცდლო პერიოდის განმავლობაში ამ და სხვა გარემოებების დროს სტუდენტს ერთხელ მიეცემა შენიშვნა. მსგავსი ან იგივე დარღვევის შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

მუხლი 8. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლები

8.1 სტუდენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან:

ა) ლექსიკონის, ე. წ. „შპარგალკის“, მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის და დამხმარე მასალის, (გარდა ნებადართული შემთხვევისა) ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოთა აღმოჩენისას (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);

ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდლო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;

გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობის შემთხვევაში;

ე) სხვისი ნაშრომის სარგებლობის ან გადაწერის მცდელობის შემთხვევაში.

8.2 ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას სტუდენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში პედაგოგი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას სტუდენტი.

8.3 ნაშრომი არ გასწორდება:

ა) სტუდენტი საგამოცდლო დროის ამონურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ ჩააბარებს ნაშრომს;

ბ) ნაშრომში დააწერს სახელს, გვარს (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ფურცლისა) ან გააკეთებს პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე ინფორმაციას, ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდლო დავალებასთან;

გ) სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში.

8.4. გამოცდის დასრულების შემდეგ საგამოცდლო ნაშრომი იშიფრება და გადაეცემა სასწავლო კურსის ლექტორს, რომელიც ვალდებულია ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს საგამოცდლო ნაშრომის შემოწმება და შედეგების უმარლესი განათლების ფაკულტეტის ელექტრონული სისტემის ბაზაში ასახვა;

8.5.. საგამოცდლო ნაშრომის შემოწმების და შეფასებების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ბაზაში ასახვის შემდეგ ლექტორი ვალდებულია ჩატარებული გამოცდის ჩატარების ამსახველი დოკუმენტურის მასალა ჩააბაროს სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანატს.

8.6 საგნის პედაგოგს უფლება აქვს ნაშრომი შეამოწმოს პლაგიატობაზე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესების დაცვით;

8.7 გამოცდაზე უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე შეფასების გამოცხადებიდან არა ნაკლებ 5 დღის გასვლის შემდეგ.

მუხლი 9. გამოცდის შედეგების გასაჩივრება.

- ა) სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს ქულათა საკმარის რაოდენობას, უფლება აქვს განცხადების საფუძველზე გაასაჩივროს გამოცდის შედეგები;
- ბ) გამოცდის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს მათი გაცნობის დღეს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება;
- გ) განცხადება უნდა დაინეროს უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანის სახელზე, რომელიც ეცნობა განცხადებას და გასაჩივრებულ ნაშრომს და გადასცემს სასწავლო კურსის ლექტორს განხილვისათვის;
- დ) სასწავლო კურსის ლექტორი ეცნობა საგამოცდო მასალას და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: ტოვებს შეფასებას, ცვლის შეფასებას ქულათა მომატებით ან დაკლებით საგამოცდო ნაშრომის შინაარსის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით სასწავლო კურსის ლექტორი წერს განმარტებას;
- ე) იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი კვლავ არ დაეთანხმება სასწავლო კურსის ლექტორის შეფასებას, უმაღლესი განათლების ფაკულტეტის დეკანი ქმნის დარგობრივ კომისიას 3 წევრის შემადგენლობით;
- ვ) საგამოცდო კომისია ეცნობა საგამოცდო ნაშრომს და იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს;
- ზ) კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

- ა) წინამდებარე წესი განიხილება აკადემიურ საბჭოზე და მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
- ბ) წესში ცვლილებები და დამატებები შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით;
- გ) წესი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

